ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 27-92

11 სექტემბერი
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილი იქნას ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში (სსმ. ვებგვერდი: www.matse.gov.ge, 06/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016099) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის:

ა) გრაფიკული ნაწილი - რუკა (ფუნქციური ზონები) ჩამოყალიბდეს თანდართული სახით (თან ერთვის ცვლილების საინფორმაციო მასალა).

ბ) ტექსტური ნაწილის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ" ქვეპუნქტი:

„დ") დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმაზე, რომლის საფუძველზე ხდება ფუნქციური ზონის ცვლილება ან/და მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში არსებული ფუნქციური ზონის ხარვეზის (მათ შორის სატრანსპორტო ზონის) და სხვა უზუსტობის შესწორება.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ფუნქციური ზონები




1
2





არსებული ფუნქციური ზონის კონტური

კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური

საზოგადოებრის-საქმიანი ზონა-2 (სსზ-2) (არსებული ზონა **2656**კვ.მ.)

სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1) (არსებული ზონა **547**კვ.მ.)

სამრეწველო ზონა-1 (ს-1) (კორექტირებული ზონა **3203**კვ.მ.)

1. ქალაქი თბილისი, ქუჩა ანდრონიკაშვილი, **N143** (ნაკვეთი **N6/25**); ქალაქი თბილისი, ქუჩა ანდრონიკაშვილი, **N143** (ნაკვეთი **N6/26**) მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: **01.11.01.006.025; 01.11.01.006.091** საერთო ფართობი: **3203** კვ.მ)); სატრანსპორტო ზონა **1**-ის (ტზ-**1**) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა **2**-ის (სსზ-**2**) სამრეწველო ზონა **1**-ით (ს-**1**) ცვლილება;

011814014-67



არსებული ფუნქციური ზონის კონტური



კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური

საცხოვრებელი ზონა-5 (სზ-5)

სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1) (კორექტირებული ზონა **1005**კვ.მ.)

2. ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, როსტევანის ქუჩა, **N 61**; დავით აღმაშენებლის ხეივანი **N6** არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: **01.72.14.065.022** ფართობი: **1005**კვ.მ); საცხოვრებელი ზონა **5**-ის (**სზ-5**) სატრასპორტო ზონა **1**-ით (**ტზ-1**) ცვლილება;

01182142685-67